პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 12 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი დროშა

206 (904)

1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## დღე, რომელსაც არ დაივიწყებს საქართველოს მშრომელი ხალხი

29 აგვისტო (ახალი სტილით 11 სექტემბერი) ისტორიული დღეა თბილისის და მთელი საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრებაში. ოცი წლის წინად ამ დღეს ვერაგულად დაიღვარა რამოდენიმე ასი თბილისის მუშის სისხლი.

1905 წელია. თვითმპყრობელობ ს ჯალათური რეჟიმით მოთმინებიდან გამოსული მშრომელი მასა ღელავს და ბრძოლისაკენ მიიწევს. მეტი ჩაგვრის და მონობის ატანა მას არ შეუძლია. მუშები მართავენ მიტინგებს, კრებებს და მსჯელობენ თავის პოლიტიკურ ამოცანების შესახებ.

ერთი ასეთი დიდი კრება გაიმართა 1905 წლის 29 აგვისტოს თბილისის საბჭოს დარბაზში. გასარჩევი იყო მეტად სერიოზული კითხვები—ერობის შემოღებისა და სომხებსა და თათრებს შორის სისხლისმღვრელ შეტაკების შესახებ.

თბილისის მუშებს სურდათ თავისი აღშფოთება გამოეთქვათ ამ საზიზღარი სისხლისღვრის წინააღმდეგ, რომელიც მოწყობილი იყო მეფის მოხელეების მიერ.

და აი იმ მომენტში, როცა კრება გაიხსნა დარბაზში, მათრახებით შეცვივდნენ პოლიციელები და ყაზახები, დაუწყეს სროლა და ცემა კრების მონაწილეებს. გამხეცებული მეფის დამქაშები არა ზოგავდენ არავის.

მათ მიერ დახოცილ იქმნა 60, ხოლო დაჭრილი და დასახიჩრებული 300 კაცამდე.

ისე მხეცურად, ვერაგულად, ქურდულად დაესხა თავს უიარაღო მუშებს სისხლის მსმელი თვითმპყრობელობა. მაგრამ ამით მან ცეცხლზე ნავთი გადაასხა. ამბავი ამ საზიზღარი მასიური მკვლელობის შესახებ ელვის სისწრაფით მოედო მთელ საქართველოს, ყალყზე დადგა მთელი მშრომელი მასა, მუშათა გაფიცვების ტალღა მოეფინა მთელ ჩვენ ქვეყანას. ამ ვერაგობამ ერთხელ და სამუდამოთ დაარწმუნა მუშები შეურიგებელი, გადამჭრელი შეიარაღებული ბრძოლის აუცილებლობაში ძირმომპალი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

29 აგვისტოს ამბები საზარელი სისხლიანი გაკვეთილი იყო მუშებისა და გლეხებისათვის. ასეთ მძიმე გაკვეთილებზე გამოიბრძქედა და გასალკლდევდა მისი რევოლიუციონური სული და მიაღწია მან საბოლოო გამარჯვებას.

29 აგვისტო დაუვიწყარი დღეა თბილისის და მთელი საქართველოს მშრომელი ხალხის რევოლიუციონური ბრძოლის ისტორიაში.

ამ დღეს დახოცილ და დაჭრილ პროლეტარიატის ხსოვნა არას დროს არ ამოიშლება მშრომელი ხალხის გულიდან.

საუკუნო ხსენება 29 აგვისტოს წამებულებს, რომლებმაც თავისი უმანკო სისხლით ნიადაგი მოუმზადეს პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებას საქართველოში.

## შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის № 204-ში გაგვეპარა კორექტორული შეცდომა, რომელიც ამახინჯებს წინადადების აზრს, მოწინავეს მეორე გვერდის მე-15 სტრიქონში (ქვევიდან) სწერია: „როგორც გამოქნილებმა მათ სხვებსაც უნდა ასწავლონ“, უნდა იყოს: „როგორც გამოცდილებმა მათ სხვებსაც უნდა ასწავლონ“.

# ახალი რადიო-ამბები

## ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა.

კომუნისტური რეზოლიუცია მიღებული იქმნა 2.465.000 ხმით მემარჯვენეთა 1.218.000 ხმის წინააღმდეგ.

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის 9 სექტემბრის სხდომაზე იხილავდენ გენერალურ საბჭოს ანგარიშს. ამ სხდომაზე სასტიკი იერიშები მიიტანეს მემარჯვენეებმა გენერალურ საბჭოზე, მაგრამ მათი წინადადებები ყოველთვის უარყოფილი იქმნა. ღებულობდენ ყოველთვის კომუნისტების წინადადებას.

სენსაცია გამოიწვია წარდგენილმა რეზოლიუციამ, რომელშიაც ნათქვამია, რომ პროფესიონალური მოძრაობა ორგანიზაციულად უნდა ემხაროს „მუშების პარტიასთან“ ერთად ბრძოლისათვის კაპიტალიზმის დასამხობად. რეზოლიუცია აფრთხილებს მუშებს, რომ კაპიტალისტები სცდილობენ, თავიანთ წარმოებების „პარტნიორებათ“ გახადონ მუშები—რასაც შეუძლის შეაფერხოს მუშათა მოძრაობა. შემდეგ რეზოლიუცია მხარს უჭერს საქარხნო კომიტეტების ორგანიზაციას, სთვლის რა მათ კაპიტალისტებთან ბრძოლის აუცილებელ იარაღად.

## ზინოვიევის „საიდუმლო მანიფესტი“.

კონსერვატიული გაზეთი „დეილი-მეილი“ აქვეყნებს „ნამდვილ ინსტრუქციებს“, რომელიც გადაუგზავნია მოსკოვს ინგლისის კომპარტიისათვის არმიისა და ფლოტში კამპანიის ჩასატარებლად.

კონსერვატიული რომ ინსტრუქციების ავტორი ზინოვიევია, და „საიდუმლო მანიფესტი“ გადმოგზავნილია კომინტერნიდან. „ინსტრუქციებში ნათქვამია“ საჭიროა შეიქმნეს, ლეგალური და არალეგალური ორგანიზაციები, რომლებმაც უნდა აწარმოონ არმიის რიგებში განუწყვეტელი და სისტემატიური მუშაობა აგიტაციისა და განათლების საქმეში და მზად უნდა ვიყოთ გადამწყვეტ მომენტში სათავეში ჩაუდგეთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამხედრო აჯანყებას. საჭიროა აგრეთვე გამუდმებული ბრძოლის წარმოება თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების განიარაღებისათვის, პროლეტარული მასების შეიარაღებისა და ისეთი მთავრობის დასამყარებლად, რომელმაც სისრულეში უნდა მოიყვანოს აღნიშნული მოთხოვნილებანი მმართველ კლასების სურვილის წინააღმდეგ.

კომპარტია უარყოფს ასეთი საბუთის მიღების სინამდვილეს და აცხადებს რომ ის განგებ არის შეთხზული, როგორც მასში კომპარტიისა და შეიძლება სხვა მუშების წინააღმდეგაც მთავრობის მიერ რეპრესიული ზომების მისაღებად.

## კომუნისტების დაპატიმრების წინ ინგლისში.

პოლიტიკურ წრეებში დაჟინებით ლაპარაკობენ, რომ ამ ახლო მომავალში მთავრობა დაიწყებს კომუნისტების დაპატიმრებას.

უცდიან მხოლოდ სკარბოროში შემდგარ პროფკავშირების კონგრესის დასრულებას.

## ომი მაროკოში.

ესპანელების ოპერაციები.

ტანჟერიდან იტყობინებიან, რომ ესპანეთის ჯარების დესანტმა ხებარდილთან დაიკავა მთელი რიგი სიმაღლეები, რომლებიც გარს არტყიან ნავთსადგურ ალხუსემას. ოპერაციების გაგრძელებით, ესპანეთის ჯარებმა დაიწყეს შეტევა ალჟირის მიმართულებით. ოპერაციები მიმდინარეობენ სწრაფად.

რიფები უწევენ სუსტ წინააღმდეგობას.

მადრიდიდან მიღებული ცნობით, ალხუს—მასის ყურეში 12 საფრანგეთ—ესპანეთის გემებმა დაიწყეს სროლა სანაპიროებისაკენ; ამავე დროს საფრანგეთ—ესპანეთის 15 ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენდენ რიფებით დასახლებულ ტერიტორიას. დილის 10 საათიდან ჯარისკაცებით დატვირთული გემები მიადგნენ ნაპირს.

დესანტის გადასხმა გაგრძელდა 12 საათამდე უინციდენტოთ. მცირეოდენი წინააღმდეგობის აღმოჩენის შემდეგ რიფებმა მიატოვეს პოზიციები. ესპანელებმა ხელთ იგდეს დიდძალი ტყვე და სამხედრო ქონება.

## ინგლისის ბურჟუაზია სდევნის კომპარტიას.

ჩვეულებრივად ინგლისელებს უყვართ კვეხნა იმის შესახებ, რომ ინგლისი ყველაზე უფრო დემოკრატიული ქვეყანაა, რომ იქ აზრის და სიტყვის თავისუფლება სავსებით განხორციელებულია და სხვა. და ეს იმ დროს, როცა ინგლისის ახალშენებში გამეფებულია სასტიკი რეჟიმი, როცა ინგლისის იმპერიალიზმის მოხელეები უმოწყალოდ სჩაგრავენ და ყვლეფენ მათ მიერ დამონავებულ ერების მშრომელთა მასებს.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში თვით „დემოკრატიულ“ ბრიტანეთშიც ყველაფერი რიგზე უკვე აღარ არის.

ჩვენ მოწამენი ვხდებით ისეთი ამბების, რომელიც სავსებით აბათილებს ინგლისელების კვეხნას მათი ქვეყნის დემოკრატიზმზე.

ამ უკანასკნელ ხანებში დაიწყო ინგლისელ კომუნისტების წინააღმდეგ დევნა. ამუშავდა ინგლისის პოლიცია და მართლმსაჯულება.

რასშია საქმე? რამ გამოიყვანა მოთმინებიდან „დემოკრატიული“ ქვეყნის მესვეურები, რომ ისინი არღვევენ თავისი ქვეყნის „დემოკრატიულ“ პრინციპებს? კომუნისტის დაჭერა, მისი ციხეში გამოკეტვა ეს ხომ თავისუფლების აღკვეთაა.

საკმარისია, რომ კარგად ჩაუკვირდეთ ინგლისის ცხოვრებას და ჩვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება. როცა ინგლისის მუშათა კლასი მთლიანად ემყოფებოდა გამყიდველ ბელადების გავლენის ქვეშ, რომლებიც ერთგულად ასრულებდენ ბურჟუაზიის სამსახურს, ინგლისის კაპიტალისტები მშვიდათ იყვნენ და არაფრის არ ეშინოდათ. რევოლიუციონური საფრთხე მათთვის არ არსებობდა. მაგრამ გავიდა დრო და მდგომარეობა ძირბუდიანად შეიცვალა. შეირყა ინგლისის ეკონომიური წონასწორობა. მოიკიდა ფეხი უმუშევრობამ. გაღატაკდა მუშათა კლასი. სიღარიბე და გაჭირვება არ შორდება მის კარებს. თანდათან იწყო ინგლისის პროლეტარიატმა გამოფხიზლება.

მას იმედი გაუცრუვდა გამყიდველ ბელადებში.

მორჩილების ნაცვლად ის იწყებს შეურიგებელ სასტიკ ბრძოლას თავისი ინტერესებისათვის.

ის უკვე აღარ სტყუვდება. ის აღშფოთებულია, როცა მას შეთანხმებისაკენ მოუწოდებენ სოციალ-გამყიდველები, მხოლოდ აღტაცებით ივსება, როცა რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ მოუხმობენ ინგლისის კომუნისტები.

ეცემა სოციალ—გამყიდველების გავლენა მუშათა მასებში, ხოლო კომპარტიის ავტორიტეტი კი სწრაფად იზრდება. ავიღოთ თუნდაც უკანასკნელი ინგლისის პროფკავშირების ყრილობა, სადაც ხმის დიდის უმრავლესობით გავიდა კომუნისტური რეზოლიუციები.

და აი ინგლისის ბურჟუაზია ხედავს, რომ დემოკრატიზმი უკვე მავნე ხდება მისთვის. მის ნაცვლად ბურჟუაზიული დიქტატურა და ტერორია საჭირო და ის კიდეც დგება ამ გზაზე.

ის კვლავ თხზავს ყალბ „ზინოვიევის წერილებს“ და სხვა ამდაგვარ პროვოკაციულ საბუთებს. ამით მას სურს გაამართლოს კომუნისტების წინააღმდეგ დევნა და საბჭოთა კავშირის მიმართ წარმოებული მტრული პოლიტიკა.

ინგლისის მთავრობა რეპრესიებით სცდილობს კომპარტიის გავლენის გავრცელების შეჩერებას მუშათა მასებზე. მაგრამ ამაოდ.

ინგლისის პროლეტარიატი ჩამოშორდა გამყიდველ ბელადებს და დგება რევოლიუციონურ, კლასობრივ ბრძოლის გზაზე. ამ გზაზე მას ყავს ერთად ერთი საუკეთესო წინამძღოლი—ინგლისის კომპარტია, რომელსაც ვერ გასტეხავს ვერავითარი ბურჟუაზიული დევნა და რომელიც მიიყვანს მას საბოლოო გამარჯვებამდე.

—მ.

## ფინ-იუნ-სიანის დივიზიების მანევრები.

8 სექტემბერს პეკინის მიდამოებში სწარმოებდა სამხედრო მანევრები და დათვალიერება ფინ—იუნ—სიანის სამი დივიზიის, რომლებშიდაც ირიცხება 50.000 კაცამდე.

მანევრები გადაღებულია ეკრანზე შანხაის კინომატოგრაფიული კამპანიის მიერ.



გენ. ფინ—იუნ—სიანი.

## უცხოელნი სწავლულნი ლენინგრადის ქარხნებში.

უცხოელ სწავლულებმა დაათვალიერეს „წითელი პუტილოველი". ზავოდის ადმინისტრაციასთან საუბარში მათ განაცხადეს, რომ არ ფიქრობდენ, თუ ნახავდენ საბჭოთა კავშირში ასე განვითარებულ წარმოებას.

---

ორშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

**დღის წესრიგი:**

1) მოხსენება 1925—26 წლის ბიუჯეტის განაწილების პროექტის და საგადასახადო გამოსაღებათა გეგმის შესახებ,

2) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

---

## იურიდიული დახმარების ბიურო.

დღეს ეყრება საფუძველი ქართული დივიზიების სამხედრო პროკურატურასთან იურიდიული დახმარების ბიუროს (საკონსულტაციო ბიურო). რა მიზნებს ისახავს ეს ბიურო? დღეს ჩვენი პარტიის და ხელისუფლების დღის წესრიგებში სდგას—საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საკითხი.

ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტაში საპატიო როლი უკავია საპროკურორო ორგანოებს.

ბრძოლა ამ მიმართულებით არ ამოიწურება მარტო ბოროტმოქმედის პასუხისგებაში მიმცემით, ფართოდ უნდა იქნეს დასმული საკითხი დანაშაულებრივ ქმედობათა თავიდგან ასაცილებლათ გამაფრთხილებელი ზომების მიღების საშუალებით მართალია, საბჭოთა კანონიერება ხშირად ირღვევა სხვა და სხვა ანგარებითი ზრახვებით, მაგრამ ეჭვს გარეშეა ისიც, რომ იგივე კანონები ირღვევა მათ აშკარა არ ცოდნითაც აი, ამ მეორე ხასიათის კანონების დარღვევის წინაამდეგ საბრძოლველათ არსდება სამხედრო პროკურატურასთან იურიდიული დახმარების ბიურო. ყოველ სამხედრო მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს აშკარა და ნათელი წარმოდგენა საბჭოთა კანონმდებლობის შესახებ და აღარ უნდა დარჩეს არც ერთი შემთხვევა, როდესაც შესაძლებელი გახდებოდეს დანაშაულის ჩადენის მართლება კანონის არ ცოდნით.

ამით ერთი მხრივ ძალზედ შესუსტდება დანაშაულებრივი ქმედობათა რაოდენობა წითელ ჯარში და მეორე მხრივ შინ დაბრუნებულნი სამსახურის გათავების შემდეგ წითელი მოლაშქრეები, გაცნობილნი საბჭოთა კანონიერებასთან, დიდ დახმარებას გაუწევენ პარტიას და ხელისუფლებას სოფლად საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ერთი სიტყვით, ამ იურიდიული დახმარების ბიუროს მიზანია, ბრძოლა საბჭოთა კანონიერების უცოდინარობასთან. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ დღეს გადაიდგმება სრული იმედით, რომ ჩვენი წითელ მოლაშქრეთა მასსა გამოიჩენს დიდ სურვილს ამ იურიდიული დახმარების ბიუროს საშვალებით, ლიკვიდაცია უყოს საბჭოთა კანონიერების უცოდინარობას და ამითი განამტკიცოს ის წითელ ჯარში.

დ. ხიხაძე.

## ტერიტორიალური შეკრება.

### როგორ უნდა ამაცადინო ცვალებადელი.

წერილი მეორე.

ცვალებადელებთან მეცადინეობის დაწყების დროს, ტერიტორიალურ ნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობას კარგად უნდა ახსოვდეს შემდეგი წესი:

1. ცვალებადელს უნდა მისცეთ არა საერთო წარმოდგენა ამა თუ იმ საგანზე, არამედ მას რიგიანად უნდა შეასწავლოთ ის საგანი, რომელსაც მასთან გადიხარ;

2. უნდა ეცადოთ, რომ წესდების მიხედვით და ზეპირად სხვა და სხვა სახელების პასუხის მოცემას ადგილი არ ქონდეს, არამედ ცვალებადელს კარგად უნდა ესმოდეს და იცოდეს, თუ რა დროს, რისთვის და როგორ უნდა იხმაროს ესა თუ ის იარაღი და როგორ უნდა მოიქცეს ამა თუ იმ შემთხვევაში;

3. მუდამ თან უნდა ქონდეთ უბის წიგნაკი, რომელშიაც შეტანილი იქნება მეცადინეობის დროს შენიშნული შეცდომები, დაშვებული უმცროს მეთაურთა მიერ და აგრეთვე გამოწვეული სხვა მიზეზების გამო. ეს იძლევა საშუალებას მომავალ მეცადინეობის დროს ადგილი არ ქონდეს შეცდომებს, რითაც გამოსწორდება მეცადინეობის მსვლელობა. ამასთან უფპოლიტშემადგენლობას ყოველ წამ უნდა ახსოვდეს, რომ მათი დაუდევრობა მეცადინეობის მიმართ საშინლად ავნებს მუშაობას და ართულებს ცვალებადელებთან მეცადინეობის საქმეს, რომელთათვის ყოველი წამი ძვირფასია.

ცვალებადელებთან სამეცადინო მცირე დროს გამო, საჭიროა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამოყენებული იქნეს სამეცადინო პროგრამის ჩასატარებლად. მაგალითისთვის ავიღოთ შემდეგი: მეცადინეობა დანიშნულია მინდვრათ მუდმივი ბინიდან 2-3 კილომეტრის დაშორებით.

საჭიროა ეს გადასვლაც გამოყენებული იქნეს, რომ უბრალოდ არ დაიკარგოს დრო. ამიტომ გადასვლის დროს შეცვლილი და გადაკეთებული უნდა იქნეს მოძრაობის წესი (რბენა, ნაბიჯი), რაც უსათუოდ მოიტანს სარგებლობას. შორ მანძილზე გადასვლის დროს შეიძლება და საჭიროცაა ცოტა ხნით შეაჩეროთ მოძრაობა, რომ პრაქტიკულად გადაჭრილ იქნეს ყველა სროლის რთული საკითხები.

ყველა ზემოჩამოთვლილ ამოცანების გარდა, ტერიტორიალურ შეკრების ჩატარების დროს უფპოლიტშემადგენლობას უნდა ახსოვდეს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა,—ყოველ ცვალებადელს ჩაუნერგოთ, რომ ის ეკუთვნის განსაზღვრულ ჯარის ნაწილს, რომ ის მოწვეულია აქ სერიოზული საქმის—სამხედრო საქმის შესასწავლად.

არავითარ საერთო წესებიდან გადახვევას ადგილი არ უნდა ქონდეს ცვალებადელთა მხრივ და უნდა მოეთხოვოს მათ ყოველივე იმის შესრულება, რასაც გვიკარნახებს წესდება. არავითარ თავზე ხელის მოსმას მეცადინეობის დროს და შემოღებულ რეჟიმიდან გადახვევას ადგილი არ უნდა ქონდეს.

მხოლოდ, ამრიგად დაყენებულ საქმის მეოხებით მივიღებთ კარგ შედეგებს დაწყებულ ტერშეკრებიდან.

ი. ბარ.

---

## სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობა ს. ს. ს. რ. ტერეტორიალურ ნაწილებში

არმიისათვის სამხედრო-სამეცნიერო მუშაობის დიდი მნიშვნელობა და აუცილებლობა იმდენად გასაგებია ყველასათვის, რომ მათზე შეჩერება და ამ საკითხის აგიტაცია მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

მაგრამ, მიუხედავათ ამ გარემოებისა, ჩვენ ამ საკითხზე უნდა შევჩერდეთ თუნდ მარტო იმის გამო, რომ ჩვენ ტერ-ნაწილის პირობებში, როდესაც მისი კადრები დაფანტულია დიდ ტერიტორიაზე, სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას წინ ხვდება მთელი რიგი ორგანიზაციულ დაბრკოლებებისა, რაც მოქმედობს მუშაობის განვითარებაზე და აგრეთვე ცენტრალურ უჯრედის ხელმძღვანელობაზე.

ეს დაბრკოლებები უფრო საგრძნობია ეხლა, როდესაც სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ამოცანები საერთოდ და განსაკუთრებით ტერ-ნაწილებში, გაიზარდა ცენტრის გადატანით მშრომელთა შორის სამხედრო პროპაგანდაზე.

აი სწორედ ამიტომ ეძლევა ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა საერთო ტერ-შეკრების პერიოდში, აზრთა გამოცვლა ამ საკითხზე, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სათადარიგო უფროსთა შემადგენლობამ.

ტერ-ნაწილებში ეხლახან წარმოებულ სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას ერთდროულად დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს.

დადებითი მხარე—ეს სამხ. სამეც. მუშაობაში საქ. ყველა სამაზრო ცენტრების ჩათრევის შესაძლებლობაა. და აქ მშრომელთა გასამხედროების შესაძლებლობას აადვილებს ის გარემოება, რომ ამ მუშაობაში შეიძლება აგრეთვე სამაზრო პარტ და საბჭოთა ორგანიზაციების ჩათრევა.

მინიმუმი—უარყოფითი მხარეები—ეს ცენტრისაგან დაშორებაა, კავშირის სისუსტე და შეუძლებლობა წესიერად ადევნო თვალ-ყური სამხედრო საქმის უკანასკნელ მიღწევებს.

ეს ორი გარემოება სამხედრო-სამეცნიერო მუშაობას ტერ-ნაწილებში აძლევს სხვა გვარ სახეს, ვიდრე ეს აქვს სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების ორგანიზაციას და მის მუშაობის მეთოდებს.

სიორგანიზაციო დარგში, საკითხი წყდება ლეგიონის დანაწილებისდამიხედვით (ასეული და ათასეულის) აღმასკომებთან არსდება სამაზრო სამხედრო-სამეცნიერო სა-ების ჯგუფები.

ამ ჯგუფის ძირითად კადრს შეადგენენ: ტერ-ლეგიონის ნაწილის უფ-პოლიტ-შემადგენლობა, პარტ და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი და სამაზრო სამხედრო კომისარიატის ხელმძღვანელნი.

თავის თავად ცხადია, რომ სამხედრო-სამეცნიერო სა-ების სამაზრო უჯრედების ამ გვარ სტრუქტურის დროს, იცვლება სტრუქტურა ხელმძღვანელ ცენტრისა, ამ შემთხვევაში სადივიზიო სამხ.-სამეც. სა-ბისა. ეს უკანასკნელი, ჩვენის აზრით, უნდა შესდგეს იმავე მეთოდით, როგორც სამაზრო სამ.-საზ. ჯგუფები, ე. ი. მასში უნდა შედიოდენ დივიზიის ხელმძღვანელები და ტერ-სამმართველო, ამას მიუმატოდ რესპუბგმა.

გეგმაში უნდა შედიოდეს კითხვები არა მარტოდ უფშემადგენლობისათვის საინტერესო, არამედ მოსახლეობისთვისაც, (ე. ი. მსმენელთა უმრავლესობისათვის მისაღები). ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ ინტერეს მშრომელთა მხრივ სამხ. სამ. მუშაობისადმი და მაშასადამე მათ აქტივობასაც სამ.-სამე. მუშაობაში.

რაც შეეხება სპეციალურ კითხვებს, რომლითაც დაინტერესებულია ტერნაწილების უფ-პოლიტ-შემადგენლობა, ისინი სამხ.-სამ. უჯრედებისათვის განსაკუთრებულ სამუშაო გეგმაში უნდა შედიოდენ. მცირე აუდიტორიის საშუალებით, ძლიერ საეჭვოა ის კითხვება გადამუშავებული იქმნეს ასეთი კითხვების მიზანშეწონილ და სწორ გადამუშავებისათვის მისაღები იქნება ინდივიდუალური წესი, ესა თუ ის სამუშაო შესასრულებლად უნდა გადაეცეს ამა თუ იმ წევრს. თვითეული უფ-პოლიტ-მომუშავე იღებს მისთვის საინტერესო საკითხს და ამუშავებს მას.

უფშემადგენლობის კრება ლეგიონის მაშტაბით იქნება. უმაღლესი სამხ-სამეც. საზოგ აუდიტორიად, რომელიც მოისმენს, თვითეულ ამხანაგის მუშაობას და სათანადოთ შეაფასებს მას. ამ ლეგიონის მაშტაბით კრებების შედეგებს გაეცნობა შემდეგ დივიზიის სამხ.-სამ. სა—ება.

ჩვენ მიერ დასახული სქემა სამხ.-სამ. მუშაობის საქ. ტერ-ნაწილებში, რომელიც სამხედრო პროპაგანდის საკითხების დადებით გადაწყვეტის მიზნით, ადგილობრ სამოქალაქო ორგანიზაციების ჩარევას, სამხ.-სამ. მუშაობაში, ეს სქემა ყველაზე უფრო მისაღებათ უნდა მივიჩნიოთ საქ. ტერ-ნაწილების პირობებში. დეტალები ტეხნიკური მხარე ამ საქმის და მის ცხოვრებაში გატარებისას დაბრკოლებები არ შეხვდებიან.

უფრო მწვავედ დგას საკითხი ლიკანურ მასშტაბით პარტ-საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამხედრო-სამეცნიერო მუშაობის ასეთი სტრუქტურა ტერ ნაწილებში უზრუნველყოფენ, 1. ადგილებით ხელმძღვანელობის ავტორიტეტს და 2. მას მისცემს რეალურ შინაარს.

სამხედრო-სამეცნიერო სწავლების ამგვარ სტრუქტურის მისაღებად ლაპარაკობს ორი გარემოება: ტერნაწილების სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წინაშე სდგას არა მარტო ორგანიზაციის ჩამოყალიბების ამოცანა, არამედ სამხედრო კუთხეების და სამხედრო ცოდნათა წრეების სოფლად და თემებში ხელმძღვანელობის საკითხიც.

ეს საკითხი სრულიად და შესაძლებელ დამაკმაყოფილებლად გადაწყდება მაშინ, თუ სამხედრო-სამეცნიერო მუშაობაში მეტი სამაზრო სამოქალაქო ცენტრების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

თუ უკანასკნელებმა აქტიური მონაწილეობ- არ მიიღეს სამხ.-სამეც. საზოგადოების ძირითად მუშაობაში, მაშინ აღნიშნულ ორგანიზაციის არსებობა მხოლოდ ფორმალური იქნება.

ტერიტორიალურ ნაწილების სამხ. დრო-სამეცნიერო საზოგადოების ამგვარი სტრუქტურა სცვლის რამოდენიმედ სამხ.-სამ. საზ. მუშაობის მეთოდებს, უკეთ რომ ვსთქვათ, მუშაობის ფორმებს.

პირველ ყოვლისა, უნდა შეცვლილი იქნას მუშაობის გეგმა სამაზრო ტერ-სამხ. სამ. უჯრედების სამხ. სამ. საზ. საგარნიზონო გაერთიანებები ან (სადაც ასეთი არსებობენ) კონტაქტურ მუშაობის შესახებ. ამ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა სწორედ უნდა მივიჩნიოთ მაშინ, თუ მოხდება გაერთიანება სამაზრო უჯრედის სამხ. სამ. ს—ების საგარნიზონო გაერთიანებასთან, რომელსაც ეწოდება „სამხ. სამ. საზ. სამაზრო გაერთიანება", რომლის საბჭოში უნდა შევიდეს აგრეთვე სხვა სამხედრო ნაწილის წარმომადგენელიც.

ეხლა ქვედა უჯრედების (თემის) ორგანიზაციის შესახებ. აქაც უნდა მივიჩნიოთ იმავე მეთოდის შენახვა, ე. ი. ფუძე უნდა შესდგებოდეს ცვალებადელთა აქტივისა და თემის პარტ საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

ამ გვარად, საბოლოო ანგარიშში ჩვენ ვღებულობთ ასეთ ორგანიზაციას:

1) ტერ-დივიზიის სამხ. სამ. საზოგადოება **რესპუბლიკის** მაშტაბით.

2) **სამაზრ. სამხ. სამ. საზ.** ჯგუფები და

3) სამხ.-სამ. **საზ. თემის** უჯრედები, რომელშიაც შედიან **სოფლის** შტოები. ეს უკანასკნელნი მოწყობილი არიან სამხედრო კუთხეების სახით ქოხ-სამკითხველოებში.

საინტერესოა წამოყენებულ საკითხებზე ამხანაგების აზრი ადგილებიდან.

ნ. დ.

# ტერ-შეკრებაზე

## როგორ შევხვდით ცვალებადელებს.

**მე-5 ლეგ. მე-2 ათასეული.**

2 სექტემბერს, ჩვენს ათასეულს ესტუმრა 1901 წ. დაბადებულთა ცვალებადი შემადგენლობა.

ამავე დღეს, საღამოს მოეწყო მათ პატივსაცემად საზეიმო სხდომა, ახალსენაკის პროფკავშირთა თეატრში, სადაც დაესწრნენ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. კრება გაიხსნა ამხ. დუმბაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც მდაბიო ენით გააკეთა მოხსენება — ტერიტორიალურ სისტემის მნიშვნელობაზე ჩვენს რესპუბლიკებში და კერძოთ კი საქართველოში. მომხსენებელი შეეხო წარსულ მუშაობას 1902 წ. დაბადებულებთა და მომავალს, თუ რა ამოცანები არის ჩვენს წინაშე იმ ერთი თვის განმავლობაში, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდება ყაზარმაში ცხოვრება. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვა: მაზრის პარტკომის, ალმასკომის, პროფკავშირის და ახკომკავშირის წარმომადგენლებმა, რის შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა წ.-არმ. ამხ. ჯანაშია.

სხდომის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა „სიკვდილით დასჯა“, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელარმიელებზე. მე-2 დღეს, 7 საათზე, ათასეული გამოემგზავრა ქალ. ქუთაისში საერთო შეკრებაზე.

მონაწილე.

## საუკეთესო მსროლელი ტერ-არმიელები.

**(მე-6-ე ტერ-ლეგიონი)**

ჩვენს ლეგიონში უკვე დამთავრდა ნიშანში სროლა შაშხანა თოფებიდან. ტერ-არმიელები გულმოდგინეთ ეკიდებოდნენ მას, და დამაკმაყოფილებელი შედეგიც გამოიღო.

ცვალებადელები, რომლებმაც მთელი ასი პროცენტით შეასრულეს ნიშანში სროლა არიან შემდეგი ამხანაგები: პირველი ასეულიდან: 1. კუკოლაშვილი გრიგორი, 2. რაგიმოვი მირზა, 3). ოსმან-გიურმამედ-ოღლი 4. ალიევი ვარამ.

მეორე ასეულიდან: 1. ხაბეიაშვილი თედორე, 2. ალი ოსმან-ოღლი.

მესამე ასეულიდან: 1. ცაბაურაშვილი თედორე, 2. ნათელაშვილი დავითი.

მეოთხე ასეულიდან: 1. გოგოლაძე ევგენი, 2. ვერეჩილოვი ალასი, 3. მიქელიანცი ალექსი.

მეხუთე ასეულიდან: 1. სონიძე ნიკოლოზ, 2. თვარელაშვილი იაკობი, 3. შატბეროვი მიკიჩ.

მეექვსე ასეულიდან: 1. გუბერ გერმან-ტერ-ოღლი, 2. მირაჩიანცი. ამაიკი, 3. კრომე ფრანც, 4. ფერინგერ ევალდ.

სამხკორი ხაჭილაველი.

## მოგვეცით წყალი, გაგვიხსენით კოოპერატივი.

**მეექვსე ლეგიონი.**

ჩვენი ლეგიონი ამჟამად იმყოფება საბანაკოდ. სამწუხაროდ ცუდ პირობებში გვიხდება ცხოვრება, იმის გამო, რომ მოკლებული ვართ სასმელ წყალს და არა გვაქვს კოოპერატიული დუქანი, საიდანაც შეიძლებოდეს საჭირო საქონლის შეღავათიან ფასებში გამოტანა.

განსაკუთრებით ძლიერ შემაწუხებელია უწყლობა. ხშირად თითეული საათების განმავლობაში არა გვაქვს წყალი.

საჭიროა ლეგიონი მიიღებდეს ზომებს ამ მოვლენის წინააღმდეგ და უზრუნველგვყოფდეს წყლის საჭირო რაოდენობით.

ამასთანავე აუცილებელია ერთი კოოპერატიული დუქნის გახსნა, რომ თავი დავიხსნათ კერძო ვაჭრებისაგან, თორემ ჩვენი მცირე ოდენი კაპეიკები უწყალოდ მიაქვთ მათ.

ტერკორი თ. მესტიაშვილი.

## კინო-სურათები წითელ-არმიელებისათვის.

**მე-5-ე ტერ-ლეგიონი.**

6 სექტემბერს საღამოს ქ. ქუთაისის ცირკის შენობაში მეხუთე ლეგიონის მთელი შემადგენლობისათვის ნაჩვენები იქნა კინო-სურათები რევოლიუციონური დრამა „არსენ ჯორჯიაშვილი“, როდესაც რევოლიუციონერი არსენა ესვრის ბომბს ეტლში მჯდომ მიმავალ გენერალ გრიაზნოვს.

ტერ არმიელები გატაცებული უცქეროდნენ ამ ფრიად საინტერესო სურათებს. წითელ არმიელები აღტაცებით და ტაშის კვრით ხვდებიან იმ მომენტს, როდესაც რევოლიუციონერი არსენა ესვრის ბომბს ეტლში მჯდომ მიმავალ გენერალ გრიაზნოვს.

სურათში ნაჩვენებია რევოლიუციონერი მუშების გმირული მოქმედება, რომლებიც გატაცებულნი არიან მშრომელი ხალხის განთავისუფლებით.

ჩვენ წითელ-არმიელებმა ვნახეთ რა ეს საინტერესო სურათი, ყოველივე ამას დავიმახსოვრებთ სოფელში დაბრუნების შემდეგ გადავცემთ ჩვენ ოჯახებს და ამხანაგებს.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგაც, პირველ გამოძახილისთანავე გამოვიდეთ და იარაღით ხელში დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება ყოველივე საფრთხისაგან.

სამხკორი წით. არმიელი ოგანოვი.

## რად არ გვასარგებლებენ სკამებით?

მეექვსე ტერლეგიონის საბანაკოთ გასვლის შემდეგ, ყაზარმაში დარჩენ რამოდენიმე ასეულები. ლეგიონის სასადილო დაკეტეს და შიგ მოეწყვდა მაგიდები და სკამები. ჩვენ კი სასადილოთ მოგვცეს პატარა ოთახი, სადაც არც სკამები და არც მაგიდებია. არმიელებს იატაკზე უხდებათ სადილის ჭამა, რაც დაუშვებელია ჰიგიენურად.

მოგვეცით სკამები და მაგიდები.

ი. ქ—ოი.

## გამოვ კლის რად უნდა შეადგენდენ?

მეორე არტლეგიონის სინამდვილეში ერთ უცნაურ გარემოებას აქვს ადგილი. თუ ლეგიონის საველე ბატარეიდან მოხვდა საავადმყოფოში წითელ არმიელი, მას ნაწილში აღარ აძლევენ არც ჯამაგირს არც შაქარს და არც სხვას, ხოლო ასეთივე შემთხვევის დროს, საგაუბიცო ბატარეიის არმიელები კი ყველაფერს იღებენ. საინტერესოა, რად უნდა იყოს ასეთი განსხვავება. კანონი ყველასათვის ერთნაირად სწყვეტს.

საჭიროა უფროსებმა ნათელყონ ეს მოვლენა არმიელებისათვის.

წ. არმ. სურამელასპირელი.

## მიეცით თავისი ნაოფლარი.

**(1-ლი ლეგ ბატარეიის კომენდანტის საყურადღებოთ)**

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ საჭირო იყო ბატარეიის წითელ არმიელების გაკრეჭა, მაგრამ არ აღმოჩნდა საჭირო იარაღი.

ლეგიონის კომენდანტის განკარგულებით არმიელები დაპარსა მეთაურების საპარიკმახერომ, და სათანადო გასამრჯელოსაც შეჰპირდა კომენდანტი.

დაპირება ყინვაზე დაიწერა. თვე ნახევარია რომ დანაპირები არავის მიუცია საპარიკმახეროსათვის.

მიეცით მათ თავისი ნაოფლარი.

სამხკორი ხათაბალა.

# შვებულების წინ

## დავბრუნდით ყაზარმებში.

**1-ლი არტლეგიონი.**

ოთხი თვის ბანაკობის საბანაკო მუშაობის შემდეგ დაუბრუნდით ისევ საზამთრო ყაზარმებს.

ამ ხნის განმავლობაში მთელი ლეგიონი მხოლოდ სამხედრო მეცადინეობაში ატარებდა დროს და სათანადოთაც მოვემზადეთ ამ დარგში.

ეხლა უკვე ყაზარმებში ვართ და გაცილებით მეტი დრო და სურვილი გვაქვს, რაც შეიძლება ჩქარა მოვაწყოთ შესაფერისად ყაზარმები და შეუდგეთ მეცადინეობას, (განსაკუთრებით საერთო განათლების დარგში), რადგან შვებულება ახლოვდება და შვებულისთვის კი საჭიროა რამდენადაც შესაძლებელია მიიღოს ყველა ის ცნობები, რაც მისთვის აუცილებელი იქნება სოფელში დაბრუნების შემდეგ. ჩვენ კი ზოგან ყაზარმებში ჯერ ხინათლეც არა გვაქვს.

ესგარემოება ხელს უშლის ლენინის კუთხეების მოწყობას, სხვა და სხვა ხასიათის საუბრების ჩატარებას, ხმამაღალ კითხვას და საერთოდ ყველაფერს იმას, რასაც წითელ-არმიელი აკეთებს და სწავლობს შესაფერისად მოწყობილ ყაზარმაში.

საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით მოეწყოს ყაზარმების განათების საქმე, თორემ ეს გარემოება საგრძნობლად შეუშლის ხელს წითელ-არმიელებს თვითგანვითარების საქმეში.

სამხკორი ლ—თ.

## ვემზადებით შვებულებისათვის.

**1-ლი ლეგიონი.**

მოახლოვდა უვადო შვებულებაში დათხოვნის დრო და წითელ არმიელებიც გაფაციცებით შეუდგენ საქმეს. იმართება ხშირად სამხკორთა კრებები, სადაც შუქდება ყოველგვარი საკითხი სოფელში მუშაობის შესახებ. დაარსდა კოოპერატიული წრე, სადაც ეცნობიან კოოპერატივის საქმეებს, თუ როგორ უნდა დაარსდეს კოოპერატივი, ვის შეუძლია დაარსოს, ვინ ირჩევს გამგეობას, ვის შეუძლია გამოცვლა, ვინ შედის წევრად და სხვა.

ყველას სურს რაც შეიძლება მეტი ცოდნით დაუბრუნდეს სოფელს, რათა მხნეთ შეუდგენ საქმეს და იძენენ სხვა და სხვა წიგნებს ყოველგვარი საკითხებზე.

უსურვებ შვებულ არმიელებს, რომ მხნედ შესდგომოდენ თავიანთ მოვალეობას და განეგრძოთ ნაყოფიერი მუშაობა.

წ. არმიელი კ. მინდიაშვილი.

## ჩვენი მიღწევები.

**1-ლი არტსკოლა.**

ზამთრის განმავლობაში შეძენილი თეორიული ცოდნა, სკოლის კურსანტებმა გაამდიდრეს და გააშინაარსიანეს საბანაკო პერიოდში პრაქტიკული მუშაობით.

იმ გულმოდგინეობამ და საქმისადმი ინტერესმა, რომელსაც კურსანტები იჩენდენ მეტად კარგი შედეგები მოგვიტანა. იშვიათად შეხვდება ამჟამად ისეთი კურსანტი, რომელსაც არ ჰქონდეს სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

ვაზიანში ჩვენს საბანაკო მუშაობას დაემატა საერთო ბანაკ სურამში გადაყვანა, რამაც უფრო ბევრი რამ შეგვძინა. განსაკუთრებით ძლიერ გვიკვირდა ის გარემოება, თუ როგორ დაახლოვებოდენ ერთმანეთს ჩვენი ნაწილების არმიელები და გლეხობა. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ ნაწილების არმიელებს პირდაპირ გლეხების ეზოებში ჩაედგათ თავიანთი საზაფხულო კარვები და იშვიათ განწყობილებაში იყვენ მათთან.

სურამიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ გავაჩაღეთ ჩვეულებრივი საყაზარმო მუშაობა.

ისევ ძველებურად მიმდინარეობს ლენინის კუთხეებში სხვა და სხვა ხასიათის საუბრები და ისევ ისე სწარმოებს კამათი და ამა თუ იმ საკითხებით დაინტერესება.

ყაზარმები კვლავ ახმაურდა და გამოცოცხლდა.

სამხკორი გ. ლოლომაძე.

## ესკადრონის თავი დროზე არ იძლევა ჯამაგირებს.

**ქართული ცხენოსანი ლეგიონი.**

ლეგიონის 1-ლი ესკადრონის თავი წითელ-არმიელებზე დასარიგებელ ჯამაგირს ჯიბით ატარებს და როგორც მოესურვება ისე ურიგებს, რაც ძლიერ აჭიანურებს ჯამაგირის ერბაშად დარიგებას. ამის გამო წითელ-არმიელები დიდი უკმაყოფილო არიან რადგან ზოგს ერთი კვირის დაგვიანებით და ზოგს კიდევ მეტი უხდება მისი მიღება.

საჭიროა ამ ამხანაგმა ერთხელ და სამუდამოდ შეცვალოს ეს წესი და ისე არიგებდეს ჯამაგირებს, როგორც ამას სჩადიან ლეგიონის სხვა ესკადრონების მეთაურები, თორემ მისი წესი საქმის გაადვილების მაგიერ უფრო უკმაყოფილებას აჩენს არმიელებში.

სამხკორი მართალი.

## მეცადინეობა გამოაცოცხლა.

**1-ლ ლეგ. ქვეით. სამთო ბატარეია.**

1-ლ ლეგ. ქვეითა სამთო ბატარეიას დაუნიშნეს ახალი მეთაური ამხ. კ. უბერი, რომელმაც დიდის გულმოდგინეობით მოჰკიდა ხელი ჩვენთან ყოველ გვარ სახის სამხედრო მეცადინეობას.

მართალია ბატარეიის წით.-არმიელებს კარგად გვესმოდა ყველა სამხედრო წესდებები, ჩვენი მეთაურების ჩვენთან ერთგულად მეცადინეობის გამო, მაგრამ ძლიერ ჩამორჩენილი ვიყავით სამხედრო ქიმიის მეცადინეობაში. როგორც კი მოვიდა აღნიშნული მეთაური, იმ დღიდანვე გაგვაცნო ქიმიის დანიშნულებანი და მისი მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე.

გარდა ამისა ამხ. მეთაური ხშირად თავისუფალ საათებში ჩვენთან არის და გვესაუბრება იმაზე თუ რა ხდება და რა მდგომარეობაში არის მუშები და გლეხები სხვა და სხვა სახელმწიფოებში, და გვამეორებიებს წარსულ გაკვეთილებს პოლიტსაათიდან.

ბატარეიის არმიელები დიდ მადლობას უძღვნით ახლად მოსულ მეთაურს და ვუსურვებთ ეს მუშაობა ბოლომდე განეგრძოს ჩვენთან.

ბატარეის წ.-არმიელი ე. ჩხარტიშვილი.

## 1-ლი საკავშირო ასეული საზამთრო ბინაზედ.

ექვს ენკენისთვეს, დიდი ალღუმის შემდეგ ჩვენი ასეული დაბრუნდა საზამთრო ყაზარმებში.

ასეულს წინ და წინ ყავდა გამოგზავნილი რამოდენიმე წითელ არმიელები, რომლებსაც უნდა შეეკეთებიათ, დაელაგებიათ ასეულის ყაზარმები.

ნაწილის მოსვლისას ყაზარმა უკვე მზად იყო.

ალღუმებზედ დაღლილი ამხანაგები შეუდგენ დასვენებას, რომ შემდეგ უფრო ენერგიულად განეგრძოთ მუშაობა. ასეულის ჩამოსვლის თანავე ამხ. პოლიტხელმა მოაწყო ლენინის კუთხეები, რემედასის კუთხე და კედლებიც დაამშვენა პლაკატებით და სხვა და სხვა წარწერებით.

სხვა საქმიანობაც ჩვეულებრივად გაჩაღდა ნაწილში. არმიელები ძველებური მონდომებით დახალისით ჩაებენ საერთო საქმიანობაში.

სამხკორი კლდისძირელი

# პარტიული ცხოვრება.

**რ-სე ლეგ. 4 და 5 თე კომუჯრედების ცხოვრებიდან.**

საერთო ტერშეკრებამდე ჩვენი კომუჯრედის წევრთა რიცხვი მცირე იყო, მაგრამ მის შემდეგ გაიზარდა, როგორც პარტიის წევრებით და კანდიდატებით ისე ა.ლ.კ. კავშირის წევრებით.

კომუჯრედის მორიგი კრება მოწვეულ იქნა 8 სექტემბერს. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები; კომუჯრედი და მისი მნიშვნელობა წითელ ჯარში. ეს თემა მომხსენებელმა საკმაოდ გააშუქა და გააცნო ცვალებადელებს კომუჯრედის სტრუქტურასა და დანიშნულებას წითელ ჯარში.

მოხსენების შემდეგ ავირჩიეთ პარტ. და დამხმარე ჯგუფის ორგანიზატორი.

ჩვენი კომუჯრედი დღეის რიცხვიდან გააღრმავებს თავის საქმიანობას ახალი ცოცხალი ძალების შემატებით. იმედია ყველა კომუჯრედის წევრები დასჭიმავენ მთელ-ძალღონეს და იმ ამოცანებს რომელიც მათ წინ უდგათ სწორად გადასჭრიან.

სამხკორი ე—ლი.

# ეკონომიური ცხოვრება

**შაქრის მიღება.** ახლო ხანში ტფილისში მოელიან ადესიდან 20 რონოდა შაქრის ფხვნილს.

**ძვირფასი ტყავეულობის გასაღება.** ამ დღეებში ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ სტამბოლში გასაღებულია ძვირფასი ბეწვიანი ტყავეულობა 75.000 ოსმალური ლირის ღირებულობის.

**თხილის დამზადება.** ა. კ. სახელმწ. ვაჭრობის კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს წარმოკავშირთან 100 ათასი ფუთი თხილის დამზადების შესახებ.

**შევროს მიღება.** ამ. კ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატმა საფრანგეთიდან მიიღო შევროს ტყავი ასი ათასი მანეთის ღირებულების.

**მედიკამენტების მიღება.** ახლო ხანში გერმანიიდან მოელიან 25 ათასი მანეთის მედიკამენტებს და 6 ათასი მანეთის საექიმო ხელსაწყოებს.

# ახალი ამბები.

— ტრაქტორების შეძენა. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 30 ცალი ტრაქტორი.

— მანქანები დასავლეთ საქართველოსთვის. საქ. სასოფლო-სამეურნ. ბანკმა დასავლეთ საქართველოს საჭიროებისათვის გამოიწერა საზღვარ-გარეთიდან მიწის ზეზე ხვნის მანქანები.

— ახალი კოლექტივი. შრომის სახ. კომისარიატის ხელმძღვანელობით ტფილისში არსდება ახალი კოლექტივი, რომელიც იკისრებს სხვა და სხვა ხასიათის მინდობილობათა შესრულებას (გაგზავნ გამოგზავნა და სხვა).

— საქართველოს დამზღვევი სალაროები ამჟამად დახმარებას აძლევენ 1463 შრომით დასახიჩრებულს.

— ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატის განკარგულებით ფოსტა-ტელ. დაწესებულებებში აკრძალულია მეფის დროინდელი ოქროს ფულის გადასაგზავნათ მიღება.

# რადიო კუთხე.

**რადიო საქმის შესწავლა**

საფრანგეთში იმდენად დიდია რადიო საქმით დაინტერესებულთა რიცხვი, რომ მთავრობამ საშუალო სკოლებში რადიო საქმის თეორეტიულ და პრაქტიკულ კურსის გასავლელად გადასდო 20. 000 ფრანკი. პარიზის პროფესორების ერთი ჯგუფი ცდილობს მთავრობის წინაშე, რათა რადიო საქმის შესწავლა სავალდებულოდ იქნეს შემოღებული სოფლის სასწავლებლებში.

ამერიკა უფრო შორს წავიდა ამ შემთხვევაში. ზოგიერთ შტატებში უკვე დიდი ხანია, რაც რადიო საქმის შესწავლა სავალდებულოდ არის შემოღებული საშუალო სასწავლებლებში. იქ მოსწავლეები გადიან საფუძვლიანად რადიოსაქმნის თეორეტიულ კურსს და შემდეგ ვალდებულნი არიან პრაქტიკული გამოცდილება მიიღონ რადიო მიმღებ აპარატებზე მუშაობით.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებში უკვე დადგეს საგრძნობი ძალის რადიო სადგურები, რომლებიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს სავსებით თვალნათლივ გაეცნონ რადიოზე მუშაობას და ამნაირად შეიძინონ საკმაო პრაქტიკული გამოცდილებები.

**რადიო სადგურები ამერიკაში.**

რადიო სადგურების რიცხვით პირველი ადგილი ამერიკაში უჭირავს ქ. ნიუ-იორკს. სადაც არის 12 სადგური.

მეორე ადგილი ფილადელფიას—11 სადგური; მესამე — ლოსანჟელოს-10 სადგური; შემდეგ ჩიკაგო 9 სადგურით და სხვა ქალაქები რვა-რვა სადგურებით.

მოსკოვი თავისი რვა სადგურით არ ჩამოუვარდება ამნაირად ამერიკას ზოგიერთ ქალაქებს.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**შესაძლებელია თუ არა პლანეტათა შორის მიმოსვლა.**

(გაგრძელება)

როგორც ვსთქვით, დედამიწიდან იმ მანძილზე დაცილებით როგორითა მთვარეა დაშორებული მიწიდან, რაკეტისათვის სრულიად საკმარისია 1,4 მეათედი კილომეტრის სიჩქარე წამში, რომ იმოძრაოს ისევ უკან დაუბრუნებლად და დასძლიოს მიწის მიმზიდველობითი ძალა. იმ შემთხვევაში, როდესაც რაკეტა სავსებით გადასცდება დედამიწის მიმზიდველობის არეს და ვსთქვათ შესწყდა მასში იმ მექანიზმის მუშაობა, რომელიც მას აწოდებს მოძრაობისათვის საჭირო ენერგიას, რაკეტა მაშინ იძულებული იქნება უგზო-უკვლოდ იხეტიალოს პლანეტათა შორისო სივრცეში, რადგან დედამიწის მიმზიდველობა მასზე აღარ მოქმედობს, რომ უკან დაბრუნდეს და წინ წასასვლელად საჭირო ენერგიას აღარ აწვდის მექანიზმი. ასე უგზო-უკვლოდ მოძრაობენ სხვა და სხვა ცის სხეულები ე. ი. მეტეორიტები პლანეტათა შორისო სივრცეში, რომლებიც თავისი ხეტიალის დროს დაემორჩილებიან რომელიმე პლანეტის ან მზის ძალას და დაეცემიან მათ ზედაპირზე.

იმისათვის, რომ რაკეტა გაშვებული იქნეს ერთი რომელიმე მიმართულების განსაზღვრული მიზნით, მისი მექანიზმი ისე უნდა მოქმედებდეს, რომ წინაღმდეგობა გაუწიოს სხვა და სხვა სხეულების მიმზიდველობას, რომლებიც ყოველთვის აიძულებენ მას ჩითრიონ თავის მიმზიდველობის არეში.

როდესაც რაკეტა შევა პლანეტის მიმზიდველობის არეში, (სწორად რომ ვსთქვათ, გადასცილდება იმ ხაზს, რომლის იქით პლანეტის მიმზიდველობის ძალა უფრო ძლიერია დედამიწის მიმზიდველობაზე. მარსისა და დედამიწის შორის ასეთი მიმზიდველობის საზღვარი, სამჯერ უფრო ახლოა მარსთან, ვიდრე დედამიწასთან), ე. ი. იმ პლანეტის რომელზედაც უნდა დაეცეს ის, მისი მექანიზმი მაშინ სხვანაირად უნდა ამოქმედდეს, ე. ი. რაკეტას მექანიზმი ისე აწვდიდეს საჭირო ენერგიას, რომ პლანეტის მიმზიდველობით გამოწვეული რაკეტის აჩქარება-შეანელოს და წყნარად დაეშვას ახალი ქვეყნის ზედაპირზე.

ამნაირად მხოლოდ ამ პირობებში ასეთი კონსტრუქციის რაკეტით და ასეთი განაწილებული მოძრაობით შეიძლება პლანეტათა შორისო მიმოსვლა, როგორც ამტკიცებენ მეცნიერები. ვინ იცის ადვილი შესაძლებელია, რომ ის ცდები, რომელსაც ამ ჟამად აწარმოებენ ამერიკელი პროფესორები, შეიქნეს იმ ფაქტორად, რომელიც გახსნის ამ დიდი ხნის ოცნების კვანძს და დედამიწასა და სხვა უახლოეს პლანეტების შორის აღადგენს დამოკიდებულებას.

ერთ დროს ადამიანისათვის წარმოუდგენელი იყო ჰაერში ფრენა, წარმოუდგენელი იყო მისთვის ის უდიდესი მიღწევებიც, რომლებითაც ხასიათდება თანამედროვე ტეხნიკა და რა გასაკვირია თუ ამავე ტეხნიკის შემდეგი განვითარება დაგვაყენებს იმ უდიდესი და ამ ჟამად წარმოუდგენელი მოვლენის წინაშე, რომელსაც ეწოდება პლანეტათა შორისო მიმოსვლა.

# პასუხი შეკითხვებზე.

კითხვა. ვმსახურებდი მასწავლებლად. გამიწვიეს წ. ჯარში 1925 წ. მაისში. მენახება თუ არა ადგილი?

წ. არმ. ია

**პასუხი.** ადგილი არ გენახებათ, მაგრამ ადგილს მიიღებთ რიგის გარეშე, როგორც თადარიგში დათხოვნილი.

კითხვა. უმცროს მეთაურებს, რომლებსაც უჭირავთ ს. მ. ხედრო ფონდის ოთახი, უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ ჩამოერთმევათ თუ არა, ან რამდენ ხანს შეუძლიათ ისარგებლონ ამ ოთახით?

პ. ძიძიგური.

**პასუხი.** ოთახში რჩებით, სანამ სხვა ბინას არ მოგცემენ.

**კითხვა.** მიმღებ კომისიის მიერ ჩარიცხულ ვიყავი ცვალებად შემადგენლობაში, მაგრამ რაღაც შეცდომით მოვხვდი ძირედ შემადგენლობაში. გთხოვთ მიპასუხოდ როგორ შეიძლება მოვხვდე ისევ ცვალებად შემადგენლობაში?

**ნოე ლეკვეიშვილი.**

**პასუხი.** მიმართედ ლეგთავს დასაბუთებული თხოვნით.

**კითხვა.** მოგვეცემა თუ არა რაიმე დახმარება ბინის შოვნაში უვადო შვებულებაში წასულთ?

ნ—ია

**პასუხი.** უნდა მიმართოდ უძრავ ქონებათა სამართველოს, რომელიც შეძლებისდაგვარად დახმარებას აღმოგიჩენთ.

**კითხვა.** სამხედრო ტრიბუნალის მიერ მისჯილი მქონდა ერთი წლის ციხე, მხოლოდ ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ვიჯექი ორ თვეს გამსხლში, მეკუთვნის თუ არა ამ ორი თვის ჯამაგირი?

ათისთავი ვ ბ—ძე.

**პასუხი.** არ გეკუთვნით, ვინაიდან თქვენ ლეგიონის სიიდან ამორიცხული ხართ დღიდან პასუხისგებაში მიცემისა.

# პასუხად წითელ არმიელ „ფანქარს“

გაზეთ „წითელ არმიელის“ 193 №-ში მოთავსებული იყო ამხ. წით. არმ. „ფანქარის“ წერილი აცანის გლეხკომის თავმჯდომარე კოლუაშვილზე, თითქოს ის წითელ არმიელის ოჯახებს არავითარ დახმარებას არ უწევდეს.

ამხ. „ფანქარის“ წერილი შეიცავს სრულიად სიყალბეს, პირიქით, აცანის თემის გლეხკომს ქვრივ-ობლებზე და ღარიბებზე დახმარების სახით გაცემული აქვს ოთხას მანეთამდე.

ამა წლის 15 მაისს იქნა ჩაბარებული გლეხკომის სავაჭროს მონაგები თანხა.

გლეხკომის გამგეობამ დაადგინა შესყიდულ იქნას საექიმო პუნქტისთვის შენობა, დადგენილება სისრულეში იქნა მოყვანილი და შევიყიდეთ შენობა 1600 მანეთად.

აცანის თემის გლეხკომმა მიუხედავათ იმისა რომ დღიდან დაარსებისა მას არავითარი თანხა არ ქონდა, მან თავისი ინიციატივით კრედიტების საშვალებით ბევრი რამ გააკეთა: გახსნა სავაჭროთ საფართლო—საგალანტერეიო, სახარაზო, და ფურნე, საიდანაც იაფ ფასებში აწვდის მომხმარებლებს საქონელს; შეიყვანა კოოპერატივში 8 ღარიბი გლეხი, გასცა დახმარება ღარიბ მოწაფეებზე სასწავლო ნივთებით, სკოლის შესაკეთებლად, გზების და ხიდის ასაგებათ და სხვა. ასე აცანის თემის გლეხკომის მუშაობა ამავე „გლეხკომის გამგეობის სარევიზიო კომიის დასტურით (ოქმი № 4) მიზანშეწონილია და მოსაწონი.

ამ ხანათ გლეხკომს არავითარი თანხა არ აქვს, რადგან მან ხელი მოჰკიდა ისეთ უზარმაზარ შენობის ყიდვას და ამისთვის გასცა 1600 მანეთი. მომავალში კი ეცდება დახმარება გაუწიოს, როგორც წითელი არმიელის ოჯახებს, ისე სხვებს.

ამნაირად გლეხკომს თუ კი ამის შესაძლებლობა ჰქონია დახმარებისათვის უკან არ დაუწევია არას დროს, და არ ვიცით ამხ. ფანქარმა საიდან შესთხზა ეს ჭორი. საქმისთვის სჯობია სიმართლე ვილაპარაკოთ და ვსწეროთ.

აცანის თემის გლეხკომის თავმჯდომარე **მ. კოლუაშვილი.**

აცანის თემის აღმასკომის თავმჯდომარე ქ. ქინქლაძე.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ.** აბულაშვილს თქვენი ლექსი არ გამოდგა. სწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

**ამხ.** წიფნარელს (2-რე არტ. ლეგ). თქვენი წერილი ლეგიონის ცხოვრებიდან არ გამოდგა.

**ამხ.** ნავრუზაშვილს (2-რე არტლეგ). წერილი წითელ არმიელის დაჩაგვრაზე არ დაიბეჭდება. არც მეორე წერილი გავა თქვენი „ახალგაზრდითა საერთაშორისო დღეზე“, რადგან თქვენი ნაწილიდან იყო ამის შესახებ დაბეჭდილი.

**ამხ.** ჭინკას (1-ლ საკავშირო) კორესპონდენცია „ტელეფონი საარშიყოთ არაა“, გამოდგება კედლის გაზეთისათვის.

**ამხ.** ლავ—ზ-ს. (საავადმყოფო) გარკვევით სწერეთ წერილები.

**ამხ.** თათოშვილს (5-თე ლეგ). წერილი „მეხუთე ლეგიონის შეხვედრა“ არ გავა. ასეთი თქვენი ნაწილიდან იყო.

# ვის აქვს საწინააღმდეგო?

2-რე საარტილერიო ლეგიონის საგაუბიცო ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტიაში შემოსვლის შესახებ შემდეგ ამხანაგებს:

1) კოლუაშვილი ივანეს და 2) ყრუაშვილი დიომინეს.

კომუჯრედი სთხოვს ყველა ამხანაგებს თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო მათ მიმართ ერთი კვირის განმავლობაში აცნობოს კომუჯრედს.

კომუჯრედის მდივანი ლომქავა.

**დაიკარგა** ახკომკავშირის საწევრო წიგნაკი №4956 გაცემული ოზურგეთის კომკავშირის ორგანიზაციიდან ტრიფონ ჯაშის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.